ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1687886

ნომერი: AR1277414

თარიღი : 08.01.2015

გაცემის თარიღი : 15.01.2015

გაცნობის თარიღი : 15.01.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახა ხაინდრავა პ/ნ 01008039424
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 4 ბ. 24

ორგანიზაცია:
- სეიტონი კოდი: 205023865

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ:

1. ვინაიდან არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალიდან ირკვევა, რომ სავარაუდოდ საპროექტო ტერიტორიაზე გადის მიწისქვეშა კოლექტორი, წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500) შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ ,მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე შესრულებული (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით, შესაბამისი პირობითი ნიშნების მითითებით), ამავე ტოპოგრაფიულ გეგმაზე დამუშავებული გენგეგმა და შესაბამისი სამსახურის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე. აღნიშნული დოკუმენტაციები შეგიძლიათ ატვირთოთ "დამატებითი დოკუმენტაციის" ველში ერთ pdf ფაილად;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"–ს მიერ გაცემულ 06.01.2015 წ. № QN1275267 გადაწყვეტილებაში მითითებული დანართი #1 და დანართი #2, რომელიც შეგიძლიათ ატვირთოთ "დამატებითი დოკუმენტაციის" ველში;
3. თქვენს მიერ "ფაილის მიმაგრების" ველში ატვირთულია ტრანსპორტის მოძრაობის სქემა საგზაო პირობითი ნიშნებით, რომელიც შეთანხმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და არ არის შეთანხმებული ქ. თბილისის საპატრულო პოლიციასთან. შესაბამისად წარმოსადგენია ქ. თბილისის საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემა.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.